

ფილმების სათაურების თარგმნის სტრატეგიები (ინგლისურენოვანი,
რუსულენოვანი და ქართულენოვანი მასალის მიხედვით)

გიორგი მამნიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები / ეკონომიკა

პროფესორი ინგა ლუტიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

გიორგი მამნიაშვილი 2019 წლის 12 იანვარი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ფილმების სათაურების თარგმნის სტრატეგიებს. ზოგადად სათაურის თარგმნა, იმავდროულად ფილმისა, თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია და მთარგმნელი ბევრ პრობლემას აწყდება. არის შემთხვევები, როდესაც თარგმანი იმდენად აბსურდულია, რომ საერთოდ არ შეესაბამება ფილმის შინაარსს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ფილმის არასწორად გაგების, უცხო ენის არასათანადო ცოდნის, ამა თუ იმ ქვეყნის გასხვავებული სოციო-კულტურული ნიშნების, პოლიტიკური მდგომარეობის ან განსხვავებული კანონმდებლობის გამო. კვლევა მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ფილმების სათაურების ერთი ენიდან მეორეში გადატანის საკითხებს, რომელიც გამყარებულია შესაბამისი სტრატეგიით. ნაშრომი შესრულებულია სამი ენის მასალის მიხედვით და განხილულია ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი და ქართულენოვანი ფილმების სათაურების თარგმნის სტრატეგიები ენებს შორის არსებული სხვაობებითა და მსგავსებებით.

ნაშრომის პირველი თავი ზოგადი ნაწილია, სადაც განხილულია თვითონ *სათაური*, მისი დეფინიცია, მნიშვნელობა და ფუნქცია.

მეორე თავი უშუალოდ თარგმანს, მის მცირე კატეგორიებად დაყოფას, სტრატეგიებსა და მათ ფილმების სათაურებისათვის მისადაგებას ეხება, რომელიც თემის მთავარი ნაწილია. მეორე თავში განხილულია დროთა განმავლობაში (90-იანი წლებიდან დღევანდლამდე) ფილმებისა და მათი სათაურების ჟანრობრივი ცვლილება, მოახდინა თუ არა ჟანრების ცვალებადობამ ცვლილებები თარგმნის სტრატეგიებში.

ნაშრომის მესამე თავში მოყვანილია მაგალითები კონკრეტული ფილმების სათაურებისა. გადმოცემულია მოკლედ ფილმის შინაარსი, მისი კავშირი სათაურთან, აგრეთვე, თარგმნის შემთხვევაში, კავშირი სტრატეგიასთან, რაც აადვილებს თემის გაგებას. ნაშრომის ბოლო ნაწილში გადმოცემულია იმ კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა ნაშრომის შესრულების პროცესში და მოგვცა საშუალება, გარკვეულწილად

შეგვესო ინფორმაციული დანაკლისი ფილმების სათაურების თარგმნის სტრატეგიებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფილმი, სათაური, თარგმნა, სტრატეგიები, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი, ქართულენოვანი.